

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად, შედგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სამსონ კუტალიას

ანგარიში

30.10.2017 წელი

ანგარიში მოიცავს 2016 წლის 31 ოქტომბრიდან 2017 წლის 30 ოქტომბრამდე პერიოდს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 44-ე მუხლის შესაბამისად, როგორც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვახორციელებდი შემდეგ საქმიანობას:

- ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირებაში მონაწილეობა;
- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა;
- დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა;
- ე) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის საქმიანობიდან გამომდინარე, 2016 წლის 31 ოქტომბრიდან 2017 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით მონაწილეობა მიღებული მაქვს : საკრებულოს 34 დადგენილებისა და 80 განკარგულების პროექტების განხილვაში, აქედან კომისიამ განიხილა 14 დადგენილების და 28 განკარგულების პროექტი, მოსახლეობიდან და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსულ წერილებს გაეცა შესაბამისი პასუხი.

პერიოდულად ვხდებოდი ამომრჩეველებს, სოციალურ, ეკონომიკურ, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების პრობლემებისა და სხვა საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრი

სამსონ კუტალია